კონკურსი მომსახურების შესყიდვაზე: სასტუმროში განთავსების მომსახურება და შეხვედრებისთვის საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფა ქუთაისში, საქართველო

FSM-2024-09-07

სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში ეძებს სასტუმროს მომსახურების კომპანიას, რომელიც უზრუნველყოფს სასტუმროში განთავსებას და შეხვედრებისთვის საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფას ქუთაისში.

მოთხოვნილი მომსახურება:
სასტუმროში განთავსების მომსახურება და შეხვედრებისთვის საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფა ქუთაისში (საქართველო) სოლიდარობის ფონდი PL საქართველოსთვის, რათა მოხდეს 4 სატრენინგო სესიის ჩატარება სექტემბრის ბოლოდან ნოემბრის ბოლომდე, პროექტ "Local Media Accelerator": be well informed ფარგლებში.

1. დაგეგმილი სამუშაოს მიზანს წარმოადგენს შემდეგი:

1.1. სოლიდარობის ფონდის პლ საქართველოში მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილე 20-25 პირის სასტუმროს 15-დან 20-ოთახამდე განთავსების უზრუნველყოფა ქუთაისში.
1.2. სოლიდარობის ფონდის პლ საქართველოში მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განმავლობაში ადგილზე კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა საუზმის, ლანჩისა და ტრენინგს შორის შესვენებების დროს კვების ჩათვლით.
1.3. სოლიდარობის ფონდის პლ საქართველოში მიერ დაგეგმილი სასწავლო სესიებისთვის შეხვედრების ადგილის უზრუნველყოფა.

2. შესასრულებელი სამუშაოს ხანგრძლივობა:
2024 წლის 4 ოქტომბრიდან 2024 წლის 25 ნოემბრამდე.

3. შესასრულებელი სამუშაოს ადგილი(ებ)ი:
ქუთაისი, საქართველო

4. მინიმალური მოთხოვნები:

4.1. სასტუმროს უნდა ჰქონდეს 3 ვარსკვლავიანი რეიტინგი ან მეტი საქართველოში მოქმედი სასტუმროების კლასიფიკაციის სტანდარტების მიხედვით.
4.2. სასტუმრო უნდა მდებარეობდეს ქუთაისში.
4.3. სოლიდარობის ფონდს PL საქართველოში უფლება აქვს გააუქმოს სასტუმროს ჯავშნები სასტუმროში მისვლის დღემდე 1 კვირიდან 48 საათით ადრე ყოველგვარი გადასახადის გარეშე.
4.5 სასტუმრო არ უნდა იყოს რუსეთის ან ბელორუსის მოქალაქეების საკუთრება (50%-ით და მეტით) ან კონტროლის ქვეშ, ევროკავშირის რეგულაციის 833/2013, მუხლი 5k და მოქმედი პოლონეთის კანონმდებლობის შესაბამისად.
4.4. სასტუმროს პერსონალს უნდა შეეძლოს ქართულ და ინგლისურ ენაზე საუბარი.

4.5. ოპერირების ყველა სფერო უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხის მაღალ დონეს სისუფთავის, მოვლის, სტუმართმოყვარეობისა და მომსახურების მიწოდებისთვის;
4.6. რეგისტრაციის შემდეგ, სტუმრებს უნდა ჰქონდეთ 24 საათიანი წვდომა სასტუმროში მორიგე პერსონალის ხელშეწყობით;
4.7. სასტუმროს უნდა ჰქონდეს საუზმის, ლანჩისა და ტრენინგის შესვენებების დროს კვებითი მომსახურება;
4.8. სასტუმროში უნდა იყოს უფასო Wi-Fi ან ინტერნეტი მინიმალური ინტერნეტის სიჩქარით 10 მბ/წმ;
4.9. სასტუმრომ უნდა უზრუნველყოს ბარგის შენახვის მომსახურება;

5. აპლიკაციის შერჩევის კრიტერიუმები (მაქსიმალური ქულა 100), კონკურსის წესით საბოლოო ეტაპზე გადასული კანდიდატებისთვის:

კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა
1. განთავსების სერვისის ხარისხი: - მომსახურების საშუალებების ხარისხი (მაქს.20 ქულა); - დამატებითი მომსახურების შეთავაზება (მაქს.10 ქულა).	30
2. ჯავშნის გაუქმების წესები (მაქს. 10 ქულა)	10
3. ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი (მაქს. 20 ქულა)	20
Total	**60**

ფინანსური (ღირებულება) შეფასება

ფინანსური შეფასება განხორციელდება ფინანსური შეფასების მთლიანი ღირებულების საფუძველზე (შემოთავაზებული ფასი), რომელიც გამრავლდება სააპლიკაციო ფორმაში მითითებული მოდელირებული ვარიანტის საფუძველზე.

შეფასება კრიტერიუმით „ღირებულება“ეფუძნება შემდეგ ფორმულას თითოეული კატეგორიისთვის:

P= Pmin/Pof x 40 ქულა

სადაც:

Pmin - ყველაზე დაბალი შემოთავაზებული ფასია,

Pof -განსახილველ შემოთავაზებაში წარმოდგენილი ფასია,

P - ღირებულების კრიტერიუმიდან გამომდინარე განხილული შემოთავაზებისთვის მინიჭებული ქულების რაოდენობა; მრგვალდება სრულ რიცხვამდე.

ხელშეკრულების გაფორმება

ხელშეკრულება გაფორმდება ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელ ტენდერში მონაწილე კომპანიასთან, რომელიც დადგინდება ტექნიკური ხარისხის ფასის 60/40 მიხედვით.

საბოლოო ქულა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:
საბოლოო ქულა = ტექნიკური ქულა x 60% + ფინანსური ქულა x 40%

ტენდერში მონაწილე კომპანია, რომელიც მიიღებს ყველაზე მაღალ ქულას, ჩაითვლება ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელად.

*ფასის წონის და სხვა კრიტერიუმების შედარება არის 40/60%.

6. ინფორმაცია ღირებულების შესახებ:

6.1. თანხა მოცემული უნდა იყოს ლარში და უნდა დამრგვალდეს ორი ათეულის ფარგლებში. თანხა მითითებული უნდა იყოს სააპლიკაციო ფორმაში მოცემული მოდელირებული ვარიანტის საფუძველზე.

6.2. ფასი შეიძლება იყოს შემოთავაზებული დაუბეგრავი ღირებულებით (ფიზიკური პირებისთვის), რაც გარკვევით უნდა იყოს მითითებული, ან დაბეგრილი სახით, რომელიც უნდა მოიცავდეს ხელშეკრულების მხარის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს (გადასახადების, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოების, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული და საპენსიო შენატანების ჩათვლით) მათ შორის, აგრეთვე საქართველოში განთავსების ხარჯებს, საკვების, დაზღვევის, ადგილობრივი მგზავრობის, (გარდა იმ მგზავრობისა, რომელიც ცალკეულადაა შეკვეთილი ხელშემკვრელი ორგანოს მიერ) კომპიუტერული აღჭურვილობის, ფიჭური საკომუნიკაციო საშუალებისა და პროგრამული უზრუნველყოფის (გუგლის სფრედშითი, ფაუერფოინთი) ჩათვლით.

6.3. ხელშემკვრელ ორგანოსა და კონტრაქტორს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, კონტრაქტორის საგადასახადო საცხოვრებელი ადგილისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიმდინარე გაცვლითი კურსის მიხედვით.

7. განაცხადი უნდა შეიცავდეს ფისკალურ განაცხადს და აპლიკაციის ფორმას (მიბმული ფაილების სახით), ხელმოწერილს და დასკანერებულს PDF ფორმატში.

8. განაცხადის გამოგზავნა

განაცხადი უნდა გამოიგზავნოს 2024 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით, თბილისის დროით 24:00

საათამდე, შემდეგ მისამართზე: georgiarep@solidarityfund.pl

9. პროცედურის შედეგის შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება განმცხადებლის მიერ მითითებულ ელ. ფოსტაზე და გამოქვეყნდება სოლიდარობის ფონდის PL_GEO Facebook გვერდზე https://www.facebook.com/solidarityfund.ge და https://participatoryhub.ge/.

10. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ განაცხადის შეტანით თქვენ თანახმა ხართ გაუზიაროთ განაცხადის შინაარსი სხვა განმცხადებლებს (გარდა პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც ანონიმური იქნება), რომლებსაც შეუძლიათ შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნა სოლიდარობის ფონდ PL-ში.

11. სოლიდარობის ფონდი PL უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს, სამართლიან და კანონიერ მოპყრობას დასაქმებაში ყველა ადამიანს რასის, ფერის, რელიგიის, სქესის, ეროვნული წარმომავლობის, ასაკის, ინვალიდობის, პოლიტიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დაცული გენეტიკური ინფორმაციის ან სექსუალური ორიენტაციის გარეშე.

12. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარდგენილ განაცხადებში მოცემული პერსონალური მონაცემების ადმინისტრატორია სოლიდარობის ფონდი PL, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ვარშავაში, ქუჩა Mysłowicka 4, 01-612 ვარშავა. მონაცემები დამუშავდება მე-6 მუხლის 1 გ პუნქტის საფუძველზე პერსონალური მონაცემების დაცვის პოლონეთის კანონის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურასთან დაკავშირებული მიზნებისათვის. თქვენ გაქვთ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება, პერსონალური მონაცემების გასწორების უფლება და უფლება მოითხოვოთ ადმინისტრატორს პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, რომელიც ექვემდებარება კანონის 18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს. თქვენ გაქვთ უფლება, საჩივრით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფისის პრეზიდენტს. მონაცემების კონტროლიორი არის სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში, ი. ჭავჭავაძის გამზ. N20, ბინა N3, სართული 2, 0179 თბილისი, საქართველო. თქვენი უფლებების დასაცავად, გთხოვთ დაუკავშირდეთ სოლიდარობის ფონდს PL საქართველოში georgiarep@solidarityfund.pl - ჩვენ მზად ვართ დავიცვათ თქვენი უფლებები ჩვენი უფლებამოსილების ფარგლებში.